ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N25

2016 წლის 28 მარტი

ქ. ქობულეთი

საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქ. ქობულეთის ტერიტორიის ზონებად დაყოფის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი" ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობლის 2016 წლის 12 თებერვლის N01/967 მომართვის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განსაზღვრავს:

1. საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქ. ქობულეთის ტერიტორიის ზონირებას:

1.1 პირველი ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი 1 ზონა) – ჟვანიას სახელობის ხიდიდან დ. აღმაშენებლის გამზირი N832-მდე (ზღვისპირა ზოლიდან სმეკალოვკის არხამდე);

1.2 მეორე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-2 ზონა):

პირველი ქვეზონა – თამარ მეფის სანაპირო – დ. აღმაშენებლის გამზირი N375-დან N303-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპიროზე;

მეორე ქვეზონა – დ. აღმაშენებლის გამზირი N832-დან N718-მდე;

მესამე ქვეზონა – რუსთაველის ქუჩა N276-დან N262-მდე (ფიჭვნარის სასაფლაომდე);

1.3 მესამე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-3 ზონა):

პირველი ქვეზონა – თამარ მეფის სანაპირო – დ. აღმაშენებლის გამზირი №303-დან №291-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპიროზე;

მეორე ქვეზონა – დ. აღმაშენებლის გამზირი №718-დან №582-მდე;

1.4 მეოთხე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-4 ზონა) – რუსთაველის ქუჩა – №262-დან ვერულიძის ქუჩის კვეთამდე;

1.5 მეხუთე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-5 ზონა):

პირველი ქვეზონა – თამარ მეფის სანაპირო – დ. აღმაშენებლის გამზირი №291-დან №271-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპიროზე;

მეორე ქვეზონა – დ. აღმაშენებლის გამზირი N582-დან N308-მდე;

1.6 მეექვსე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-6 ზონა):

პირველი ქვეზონა – თამარ მეფის სანაპირო – დ. აღმაშენებლის გამზირი N271-ის მოპირდაპირედ თამარ მეფის სანაპირო N124-მდე;

მეორე ქვეზონა – დ. აღმაშენებლის გამზირი N308-დან N198-მდე;

1.7 მეშვიდე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-7 ზონა) – რუსთაველის ქუჩა – ვერულიძის ქუჩის კვეთიდან რუსთაველის ქუჩა №116-მდე;

1.8 მერვე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-8 ზონა):

პირველი ქვეზონა – თამარ მეფის სანაპირო №124-დან №2-მდე;

მეორე ქვეზონა – დ. აღმაშენებლის გამზირი N198-დან N88-მდე;

1.9 მეცხრე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-9 ზონა) – თავისუფლების ქუჩა – კულტურის სახლიდან რკინიგზის ლიანდაგამდე;

1.10 მეათე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-10 ზონა) – რუსთაველის ქუჩა N109-დან N7-მდე (ჭავჭავაძის, ლესელიძის, ჯავახიშვილის, ნინოშვილის ქუჩები);

1.11 მეთერთმეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-11 ზონა) – მეგობრობის ქუჩა – თამარ მეფის სანაპირო №2-დან მეგობრობის ქუჩის ბოლომდე (ზღვისპირა ზოლიდან მეგობრობის ქუჩის ღერძულა ხაზამდე);

1.12 მეთორმეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-12 ზონა) – დ. აღმაშენებლის გამზირი – ლესელიძის ქუჩის შესახვევიდან დ.აღმაშენებლის გამზირი №1-მდე;

1.13 მეცამეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-13 ზონა) – მეგობრობის ქუჩის ღერძულა მხარის აღმოსავლეთი მდინარე კინტრიშამდე (თბილისის, სოხუმის, კოსტავას, 26 მაისის, ჩეხოვის, ძნელაძის, ლერმონტოვის ქუჩები);

1.14 მეთოთხმეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-14 ზონა) – მ. აბაშიძის ქუჩა (რკინიგზის სადგურიდან მდ. კინტრიშის ხიდამდე (ორივე მხარე);

1.15 მეთხუთმეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-15 ზონა) – გელაური, ახალსოფელი;

1.16 მეთექვსმეტე ზონა (დანართი სიტუაციური ნახაზი მე-16 ზონა) – მ. აბაშიძის ქუჩა – მდ. კინტრიშის ხიდიდან რკინიგზის ხიდამდე (ემტეესი);

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 აპრილის N53 განკარგულება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე